საქ. რს. ემარც. სოც.-დემ. ხარეზ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 30,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 409 შაბათი, თებერვლის 3 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

# დღეს ყველა მუშა-მოსამსახურე და პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოვიდეს ქუჩაში საპროტესტო დემონსტრაციებზედ იმპერიალისტურ ოკუპანტებისა და მძარცველების წინააღმდეგ.

**ძირს საფრანგეთის და მთელი ქვეყნის იმპერიალისტები!**

**ძირს ოკუპანტები და მომძალადენ!**

**გაუმარჯოს ერთიან მუშათა ფრონტს! გაუმარჯოს გერმანიაში მუშათა მთავრობას!**

**გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს წითელ პროფინტერნს!**

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

## ძირს იმპერიალიზმი

დღეს გერმანეთის ხალხის მიმართ ისტორიული ჯალათობაა გამართული. საფრანგეთის ფაფთრებული იმპერიალიზმი ცდილობს გერმანეთის ხალხის დამონებას. რურის ოლქის ოკუპაცია გერმანეთის ეკონომიური და პოლიტიკური მკვლელობის აქტს უდრის.

ვერსალის ჯალათებმა კვლავ მორიგი ნაბიჯები გადადგენ და ევროპის რუქიდან ამოშლას უქადიან გერმანეთს.

გერმანეთის ბურჟუაზია და რეფორმისტები უძლური გამოდგა ქვეყნის დაცვის საქმეში. ბურჟუაზია „წესიერების“ და „მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებს საოკუპაციო ოლქების მცხოვრებთ და ამით ქედს იხრის საფრანგეთას დაპყრობითი პოლიტიკის წინაშე.

რურის ოლქის მნიშვნელობა გერმანეთისათვის განუზომელია. გერმანეთის ინდუსტრია რურის ოლქის რკინასა და ქვა-ნახშირზე არის დამყარებული. საფრანგეთის იმპერიალიზმი სწორედ ამ ცენტრს იჭერს და ამით საფუძველს უცლის დამარცხებულ და განადგურებული გერმანეთის აღორძინებას.

დღეს გერმანეთის მშრომელი ხალხი მოწოდებულია დიდი მისიისთვის. მან უნდა იხსნას არა მარტო თავისი კლასობრივი პოზიციები საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არამედ მან უნდა იხსნას გერმანეთის ეროვნული სხეული, გერმანეთის კულტურა, გოეტესა და კანტის სამშობლო.

იყო დრო, როდესაც ამბობდენ, მუშებისათვის სამშობლო არ არსებობსო; დღეს ფორმულა შეცვლილი უნდა იქნეს და კატეგორიულად უნდა მივიღოთ შემდეგი დებულება—ბურჟუაზიისათვის სამშობლო არ არსებობს.

სტინესის და მის თანამოაზრეთ გერმანეთის სიყვარული მხოლოდ ოქროსა და მატერიალური დოვლათის სიყვარულში აქვს განსახიერებული, რომელიც გერმანეთის მშრომელი ხალხის გაყვლეფით შეიძლება იქნეს მიღებული, მაგრამ გერმანეთის კულტურა ძვირფასია გერმანეთის მუშათა კლასისათვის, რომელიც მან უნდა დაიცვას თავის სისხლით.

დღეს ტფილისის ქუჩები იხილავს მუშათა საპროტესტო დემონსტრაციებს. დღეს საქართველოს დედა ქალაქიდანაც მშრომელი ხალხი ხმას მიაწვდის გერმანეთის პროლეტარიატს. დღეს ქართველი მუშა, რომელმაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს დამონებული მშრომელი ეროვნულად და კლასობრივად, თავის ხმას აიმაღლებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ეს ხმა, გადატყორცნილი აზიის ზღვანაპიროებიდან ევროპიული ჯალათების წინააღმდეგ, სიმბოლოა დამონებულთა ასალაგმავად.

მსოფლიოს მშრომელთა მასებმა უკვე იციან, რომ ერთი მეექვსედი მსოფლიოისა უკვე მშრომელთა ხელშია და იგი ხმას აიმაღლებს ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ.

გერმანეთის მუშათა კლასს საბჭოთა ქვეყნების მშრომელი ხალხი ძმურ ხელს გაუწვდის და კიდევ ერთხელ დაანახვებს მსოფლიოს, რომ მშრომელთა შორის არის მხოლოდ შესაძლებელი ძმობა და ერთობა, ურთიერთ ინტერესის გაგება.

საფრანგეთის ბურჟუაზია თუ იბრძვის გერმანეთის წინააღმდეგ და უკანასკნელის ბურჟუაზია მონურად ქედს იხრის, მშრომელი ხალხის ყიჟინა უნდა იქნეს ის ძალა, რომელიც გაერთიანებული რიგებით პროლეტარიატისა შესძლებს ამ ჯალათების უკუგდებას.

**ძირს იმპერიალისტური თავდასხმები!**

**ძირს „პუანკარე—ომის“ სისხლიანი პოლიტიკა!**

**გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს.**

**გაუმარჯოს გერმანეთის მებრძოლ მშრომელ ხალხს!**

## რურის ოლქის ოკუპაცია

**გენერალ დეგუტის განცხადება**

**მოსკოვი** 2 თებერვალი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს დეგუტმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ხელისუფლება იმუშავებს ახალ ზომებს გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზის მოხელეების წინააღმდეგ, რათა აიძულონ ისინი დამორჩილდნენ მათ. ამ ზომების უშედეგობის შემთხვევაში გაძლიერებული იქნება რეპრესიები.

**განწყობილება გერმანიაში**

**მოსკოვი** 2 თებერვალი. „ნიუ-იორკ ჰერალდი“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ გერმანიაში 1914 წ. არ ქონია ადგილი იმ საომარ განწყობილებას, როგორიც ემჩნევა ამ ჟამად. ნაციონალისტურმა ელემენტებმა თავი წამოყვეს და მოწყურებული არიან რევანშით. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კუნო მოქმედებს სტინესთან და სხვ. მსხვილ მრეწველებთან სრული შეთანხმებით.

**„პირდაპირი მოქმედების“ გზა**

**მოსკოვი** 2 თებერვალი. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის ცნობით დეგუტს ქონდა თათბირი საფრანგეთის გენერალურ შტაბის წარმომადგენელთან. მათ შორის გენერალ ვეიგანთან. გადაწყვეტილია დაადგენ „პირდაპირი მოქმედების“ გზას, გერმანიის მიმართ, რათა მიაღწიონ რურში წარმოებულ კრიზისის დაუყონებლივ გადაჭრას.

გერმანიას წარედგინება ულტიმატუმი, რომელშიაც საფრანგეთი მოითხოვს გერმანიის მთავრობის რურის ოკუპაციისადმი დამოკიდებულების გადასინჯვას.

ულტიმატუმში აღნიშნული იქნება, რომ საფრანგეთი მომავალში აღარ მოითმენს პასიურ წინააღმდეგობას, რომელსაც მხარს უჭერს გერმანიის მთავრობა. თუ გერმანია დადებით პასუხს არ მისცემს, მაშინ საფრანგეთი მიიღებს გაცილებით უფრო სასტიკ ზომებს, ვინემ დღემდე ღებულობდა.

დამახასიათებელია დეგუტის განცხადება: „ჩვენ აქ მოვედით მხოლოდ ინჟენერების კომისიის დასაცავად. გერმანია ხელს გვიშლის ჩვენ მშვიდობიან მუშაობაში. გერმანიის მთავრობის საომარი განწყობილება გვაიძულებს ჩვენ მივიღოთ სათანადო ზომები“.

**საალყო წესები**

**მოსკოვი.** 2 თებ. მოკავშირეებმა გამოაცხადეს საალყო წესები კობლენცში, ობერგაუზენში და ვისბადენში. ახენში მუშებმა იარაღი აჰყარეს ბელგიის პატრულებს. ამის საპასუხოდ ბელგიელებმა შემოიყვანეს ქალაქში ახალი ძალები და გამოაცხადეს საალყო წესები,

**ოკუპაციის ვადა**

**მოსკოვი.** 2 თებ. პარიზში ლაპარაკობენ რურის ოლქის ხუთი წლით ოკუპაციაზე, რომელიც შეიძლება შემცირებული იქნეს, თუ გერმანია წავა დათმობაზე.

**ნახშირის გატანა**

**მოსკოვი.** 2 თებ. საფრანგეთი და ბელგია გერმანიისადმი წარდგენილ ნოტაში აღნიშნავენ, რომ 1 თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება ნახშირის გატანა ოკუპაციის გარეშე მყოფ ოლქებში.

**მოლაპარაკება საფრანგეთთან**

**მოსკოვი.** 2 თებ. გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის თანახმაა გამართოს საფრანგეთთან მოლაპარაკება, თუ პუანკარე აღიარებს რურის დაკავების უსამართლობას და თანახმა იქნება გამოასწოროს შეცდომა.

**ჩეხო-სლოვაკიის პოზიცია**

**მოსკოვი.** 2 თებ. ბენეშმა გარეშე საქმეთა პარლამენტის კომისიას განუცხადა, რომ თუმცა ლა ჩეხო-სლოვაკია დაკავშირებულია საფრანგეთთან, მაგრამ მას არ აქვს განზრახული რურის კონფლიქტში ჩარევისა.

**პროტესტები რუსეთში**

**მოსკოვი.** 2 თებ, გომელში მუშებს და წითელ-არმიელებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები რურის დაკავების წინააღმდეგ.

— პერმში გაიმართა პერმის მუშათა ფაკულტეტის სტუდენტების საპროტესტო დემონსტრაცია რურის დაკავების წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ისინი გამოსთქვამენ რომ მზად არიან კომინტერნის პირველ მოწოდებისას ჩადგენ წითელი არმიის რიგებში და დაეხმარონ მებრძოლ პროლეტარიატს.

— ვოლოგდაში უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების საერთო კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

— ოდესაში მუშათა ორგანიზაციებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

ოდესის ნავთსადგურის მრავალ გემების მოსამსახურეებმა გამოიტანეს გერმანიის მუშებისადმი თანაგრძნობის რეზოლიუციები და მოითხოვენ საფრანგეთის კომპარტიის დაპატიმრებულ ბელადების დაუყონებლივ განთავისუფლებას.

**დახმარება რურის მუშებისადმი.**

**მოსკოვი,** 2 თებერვალი. უკრაინის წითელმა ჯვარმა მიიღო დეპეშა გერმანიის წითელი ჯვრისაგან, რომელშიაც უკანასკნელი აღნიშნავს, რომ რურის ოლქში თანდათან უარესდება მუშების მდგომარეობა და მოუწოდებს ყველა მეგობრულად განწყობილ ხალხს აღმოუჩინონ მათ ძმური დახმარება.

**გერმანიის საპროტესტო ნოტა.**

**ჰანოვერი.** თებერვლის 2 გერმანიის საპროტესტო ნოტა, რომელიც გადაეცა საფრანგეთის მთავრობას შეიცავს 5 მუხლის და ამტკიცებს, რომ საფრანგეთის მთავრობის საყვედური გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, ლიტონი სიტყვებია გერმანიის მოსამსახურეთა ოპოზიციური განწყობილება გამოწვეულია საფრანგეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის და რურის ოლქში საოკუპაციო ჯარების შეყვანის გამო. მეორე საპროტესტო ნოტაში გერმანია თხოულობს საჰქართო გაწმენდას ესენში ჩამორთმეულ საავადმყოფოებისა, რადგანაც მათი დაჭერა მოსახლეობას უსპობს სამკურნალო დახმარებას, მხოლოდ რეკვიზიცია გადამდებ სნეულებათა ბარაკებისა მოსახლეობას ემუქრება ეპიდემიის გავრცელებით.

**სისუფთავის უყურადღებობა რურის ოლქში.**

**ჰანოვერი.** თებერ. 2-ს იანვრის 31-ს, გერმანეთის სახალხო ჯანმრთელობის მინისტრმა რეიხსტაგში გააკეთა მოხსენება რურის ოლქში ანტისანიტარულ მდგომარეობაზე, ამას გარდა ცენტრის ორატორმა განაცხადა, რომ დიუსბერგში საოკუპაციო ჯარი თხოულობს 3 ლიტრა რძეს თითეულ კაცზე და ამის გამო რაციონი ძუძუმწოვარ ბავშვებზე შემოკლებულია 3—4 ლიტრამდე.

**რურის ბლოკადა ითვლება დასრულებულად.**

რურის რაიონის საბაჟო კორდონის გამო მოხდა სურსათის და სხვა პროდუქტების მომარაგების დიდი შეფერხება. ამ ბლოკადის შესახებ „დეილი-მეილი“-ს სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება, რომ რურის ბლოკადა ამ ჟამად შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად და, რომ საფრანგეთმა შეასრულა თავისი პროგრამის პირველი ნაწილი. რურის მომარაგების საკითხის შესახებ, ფიქრობენ, რომ, საფრანგეთის ხელისუფლება, რომელმაც ხელში აიღო მხარეს მართველობა, უნდა მიიღოს შესაფერი ზომები მოსახლეობისათვის სიმშილის ასაცდენად. ფასები ყველა პროდუქტებზე იზრდება დიდი სისწრაფით. ოკუპაციონურ ტერიტორიასთან მახლობელი საწარმოვო ქალაქები იწყებენ თავისი არქივების გამოაშკარავებას. საზოგადოების კერძო ვაჭრები და კომპანიები იწყებენ ყველაფერის გატანას საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფ ზონიდან.

**არ უჯერებენ ლიდერებს**

**ნაუენი** 3 თებერვალი. მუშების შორის უკმაყოფილება იზრდება. ლიდერები ყოველგვარი ღონისძიებით აფრთხილებენ მუშებს აშკარა მტრულ მოქმედებისაგან და დიდი შრომით აკავებენ მათ ექსცესებისაგან.

**რურის დახურვა გერმანიის არა საოკუპაციო ნაწილებისათვის მომხდარი ფაქტი**

**ბორდო** 2 თებერვალი. რურის ნახშირის რაიონის დახურვა გერმანიის მთელ არა საოკუპაციო ნაწილისათვის ოთხშაბათიდან უკვე მომხთარი ფაქტია. ყველა სანახშირო მატარებლები, არაოკუპაციონური გერმანიისათვის დანიშნული, დაკავებულ იქმნენ ფრანგების საბაჟოს მოსამსახურეების მიერ გასაგზავნ სადგურზე.

**ათას ხუთასი მისალოცი წერილი**

**ბორდო.** 2 თებერვალი: სენატორი დავით რედმა, რომელმაც ამერიკის სენატში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამართლებს საფრანგეთს რურის საკითხში, მიიღო ხუთი დღის განმავლობაში 1500 მისალოცი წერილი.

# კომისიის სხდომა სრუტეების შესახებ.

**ბერლინი, 2** თებერვალი. ლოზანიდან იუწყებიან რომ ხუთშაბათს შესდგა კომისიის სხდომა სრუტეების შესახებ. ლორდ-კერზონის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრენ ჩიჩერინი, ვოროვსკი და ადმირალი ბერენსი. ისმეტ-ფაშამ თავის სიტყვაში მიუთითა იმ მსხვერპლის მნიშვნელობაზე, რომ ოსმალეთი ჰკისრულობს სამხედრო გემებისათვის სრუტეების გახსნის გამო ოსმალეთს სწყურია მშვიდობიანობა, მაგრამ აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია იყოლიოს გალიპოლში გარნიზონი ისე როგორც ჯარები აღმოსავლეთში. ჩიჩერინმა წაიკითხა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება და მოლაპარაკების გამართვის ცდაც კი არ ყოფილა. თუ კონვენცია ხელმოწერილი იქნება რუსეთის გარეშე, ეს უკანასკნელი თავისუფლების მოქმედების უფლებას იტოვებს. მან წარადგინა წინადადება, რომელიც საკითხს სწყვეტს ისე რომ სრუტეებში თავისუფალი გასვლა-გამოსვლის უფლება ენიჭება უცხოეთის სამხედრო გემებს მსუბუქ წყალქვეშა ნავებს მხოლოდ და მხოლოდ კომერციული ინტერესების დაზვისა და სამეცნიერო ჰუმანიტარული მიზნით ლორდკერზონმა ისმეტ-ფაშას საპასუხოთ განაცხადა, რომ განიარაღების იდეია ახალი ამბავი არ არის ოსმალეთისათვის, რომელმაც ფრაკიის შესახებ ეს განიარაღება უკვე მიიღო. გარდა ამისა კერზონმა აღნიშნა რომ ხელშეკრულების პროექტი კონსტანტინეპოლში 10,000 ჯარის-კაციდან შემდგარ გარნიზონის აღდგენას სთმობს მაშინ როცა სევრის პირობით მიღებულნდ მხოლოდ 700 კაცით, ყველა ამ მოსაზრებათა ნამო, ფრაკიისა და გალიპოლში ოსმალური ლაშქრის ყოფნა ზედმეტია. თავის პასუხში ჩიჩერინის მიმართ, კერზონმა აღნიშნა ძირითადი უთანხმოება რუსეთისა და სხვა ერების თვალსაზრისთა შორის, სახელმწიფოებს სამწუხაროდ მიაჩნიათ ხელის მოუწერლობა რუსეთის მიერ, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავენ, რომ ეს გავლენა დროებითი ხასიათისაა.

# ლოზანას კონფერენცია

**საფრანგეთის პოზიცია**

**მოსკოვი 2** თებერვალი. საფრანგეთის ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთმა განუცხადა ანგორის მთავრობას, რომ საფრანგეთის დელეგაცია მზად არის დარჩეს ლოზანაში, ბრიტანეთის დელეგაციის გამგზავრების შემდეგ საზავო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად, რომელიც საბოლოო არ არის და შეიცავს მხოლოდ იმ წინადადებებს, რომელიც მიღებული იყო კერზონის დაჟინებითი მოთხოვნილებით.

ბრიტანეთის დელეგატებმა პირველად ვერ დარწმუნდნენ ამ ცნობის სიმართლეში, ვინაიდან ის წარმოადგენს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების დარღვევას ერთიანი ფრონტის მხრით.

**უთანხმოება მოკავშირეებს შორის**

**მოსკოვი 2** თებერვალი. ლოზანას კონფერენციაზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ლონდონში სუფევს დიდი მღელვარება. გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ საფრანგეთის წინააღმდეგ. „მორნინგ პოსტში“ სწერს, რომ მდგომარეობა ლოზანაში ყირამალა გადატრიალდა.

**დღევანდელი დღე წარმოადგენს ჩიჩერინის უდიდეს ზეიმს.** ინგლისი სავსებით გარიყულია. იტალია მხარს უჭერს საფრანგეთს. იტალიის დელეგატები უკვე რამდენიმე დღით წინ წინააღმდეგნი იყვნენ კონფერენციის გადადების.

**განწყობილება სტამბოლში**

**მოსკოვი 2** თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით სტამბოლში ადგილი აქვს დიდ მღელვარებას, რადგან ვრცელდება ხმები, რომ ლოზანას კონფერენციის ჩაშლის შემთხვევაში, შეიძლება განახლდეს სამხედრო მოქმედება.

# ახალი ამბები

— **ამხ. კრესტინსკის დეპეშა.** ბერლინიდან საქართველოს რკინის გზის პრეზიდიუმის მდივანმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის გერმანიაში— ამხ. კრესტინსკიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც იუწყება, რომ გერმანიის სასამართლოში აღძრული პროცესი რკინის გზის ქონების შესახებ მოვიგეთო. ეს პროცესი შეეხება მენშევიკურ მთავრობის დროს გერმანიაში შეკვეთილ რკინის გზისათვის საჭირო მასალებს, მედიკამენტებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, რომელთა ფასის დიდი ნაწილი გადახდილი იყო. ეს საქონელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პროცესში მოვიდა საქართველოში მაგრამ მენშევიკური მთავრობის განკარგულებით უკანვე გააბრუნეს. საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით საქმის გამოძიება გადაეცა გერმანიის სასამართლოს და როგორც მიღებულ დეპეშიდან ირკვევა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

— **ჰიდროელექტრო სადგური აბაშაში.** სენაკის სამაზრო აღმასკომის მოხსენების თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: აუცილებლად მოწყობილ იქმნას აბაშის წყალსადენთან ჰიდრო-ელექტრონული სადგური.

— **გზის შეკეთება ლეჩხუმში.** ლეჩხუმის აღმასკომმა წინადადებით მიმართა უმაღლეს მეურნეობის საბჭოს ლეჩხუმის მაზრაში (ცაგერ-ნიკორწმინდაში) გაყვანილ იქმნას მოკეწკილი (შოსე) გზა, რომელიც შეაერთებს ლეჩხუმის ცენტრს, სამხედრო-ოსეთის გზასთაან. ამის გამო სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭო შუამდგომლობს სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ლეჩხუმის აღმასკომს ამის საჭიროებისთვის მიეცეს 2.600 მანეთი ოქროთი.

— **სესხების განახლება.** სახ. კომის. საბჭოს დადგენილების თანახმად სახ. საფინანსო კომ. რწმუნებულს მიეცა წინადადება, რათა 1 იანვრიდან განაახლოს სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოსთვის და სახ. განათლების კომისარიატისათვის სესხის მიცემა, პირველისთვის წყალსადენის გასაკეთებლად წილკანში და მდ. მტკვარზე ხიდის გასაკეთებლად (სოფ. მეტეხთან) და აგრეთვე ქუთაისში საქსოვი ქარხნის ასაშენებლად, ხოლო მეორეს—აკადემიურ თეატრების შესანახათ 1923 წ. მაისის დამლევამდის. ამას გარდა სახ. განათლების კომ. „ახალ თეატრს“ ერთდროულ დახმარების სახით მისცემს 500 მილ. მანეთს.

— **საქართველოს მონაწილეობა მოსკოვის გამოფენაში.** მიწად-მოქმედების სახ: კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1923 წლის მოსკოვის გამოფენაზე სასოფლო-სამეურნეო იარაღების და საგნების გასაგზავნი ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცოს.

**ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის** საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს ახალი სქემა, რომელიც გატარებულ იქმნა ა. წ. 1 იანვრიდან. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 1922 წლ. 30 ნოემბრის, თემებისა და სამაზრო აღმასკომების დებულების მე-18 მუხლის მე-2 შენიშვნის (სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების) განსახორციელებლად გატარებულ იქმნა შემდეგი დადგენილებანი; 1) აჭარისტანის და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები გადაკეთებულ იქმნას ავტონომიურ რესპუბლიკების შრომის განყოფილებებათ: 2) დატოვებულ იქმნას უცვლელად სამაზრო შრომის განყოფილებანი—ქუთაისსა, გორსა, ჭიათურასა და სარაიონო შრომის განყოფილებანი ფოთსა და ბორჯომში; 3) სამაზრო შრომის განყოფილებანი—ზუგდიდისა, სენაკისა, ოზურგეთის, ახალციხის, ახალ ქალაქის, ბორჩალოს, დუშეთის, თელავის, სიღნაღის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შრომის კომისარიატი და სარაიონო შრომის განყოფილებანი, შორაპნის, სამტრედიის და ტყიბულის—გადაკეთებულ იქნა შრომის ინსპექციებათ ტყიბულის და სამტრედიის შრომის ინსპექციები ექვემდებარებიან ქუთაისის სამაზრო შრომის განყოფილებას, ხოლო შორაპნისა კი ჭიათურის სამაზრო განყოფილებას, 4) სრულიად გაუქმებულ იქმნა სამაზრო შრომის განყოფილებანი რაჭასა, ლეჩხუმსა ტფილისსა და თიანეთის მაზრებში, ქუთაისის სამაზრო შრომის განყოფილებას დაევალა შრომის საკითხების მოგვარება რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში, თიანეთში—თელავის სამაზრო შრომის ინსპექციის ხოლო ტფილისის მაზრაში თვით ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში.

— **ტფილისის ბირჟაზე.** 1 თებერვ. თათრული ლირა (ქაღალდის)—550.000 სტერლინგი—4.000.000, დოლარი—930 000, რუსული ოქროს თუმნიანი—5.100 ათასი, საბჭოს ნიშნები 1,7 პროც. თავისუფალი ბირჟის ფასები შემდეგია, თათრული ლირა—555.ս60 ათასი, ოქროს თუმნიანი—5.100—5.150.000.

—**მკვლელობა.** 30 იანვარს კალიგის ქუჩაზე, საწყობის სალითონო განყოფილებაში, საგუშაგოების გასინჯვის დროს საწყობის საგუშაგოს უფროსსა და გუშაგებს შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროს საგუშაგოს უფროსმა მორგიშვილმა ვინტოვკით მოჰკლა მცველი ძიძიგაშვილი. მარგიშვილი დაჭერილია.

— **უმართებულო ძალადობა.** იანვრის 31-ს, ცენტრალურ სისხ. სამართლის მილ. უფროსის მიერ დაკავებული იქნა, სისხლის სამართლის თანამშრომელი გაბუნია, რომელმაც გადაჭარბებული უფლებიანობა გამოიჩინა და რესტორან „ბახუსის“ მეპატრონეზე შეადგინა უმართებულო ძალადობის ოქმი გამოძიებისას საქმე გადაეცა რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

— „განათლების [illegible]“ გამოუშვა გასასყიდლად „ახალი სკოლის ძიების“ [illegible] წიგნი სათაურით: „საგნების გაერთიანების ცდა სკოლების ერთ-ერთ ჯგუფში“.

— **ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღება.** რკინის გზების პროფესიონალური კავშირის პრეზიდიუმის სხდომას გადაუწყვეტია, რომ ზოგიერთი საძნელო და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოზე მომუშავეთ, უნდა შეუმოკლდეთ სამუშაო დღე **ექვს საათზე**. ნაცვლად 8 საათის, ხოლო მიეცეს 8 საათისავე სამუშაო ღღის ქირა. სდგება კოლექტიური ხელ შეკრულება აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ.

# შალვა დადიანი

დღეს შალვა დადიანის იუბილეა. 30 წლის სასცენო მოღვაწეობის თავზე ქართველი ხალხი მას მიუძღვნის სალამს და მადლობას.

შალვას იუბილეს დღე ქართული თეატრისათვის მეტად ძვირფასია, რადგან შალვა დადიანი განსაკუთრებული პიროვნებაა ქართული თეატრისათვის. შალვა არა მარტო რეჟისორია, არამედ იგი დრამატურგიცაა და მსახიობიცაა.

იგი შეეთვისა ქართულ თეატრს მთელი თავისი არსებით, მას შესწირა მისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი, მას ანაცვალა თავისი ძალი და ღონე.

არიან მოღვაწენი, რომელთათვისაც დათმობილია პირადული ინტერესი საზოგადოებრივ ინტერესთა სამსხვერპლოზედ.

შალვა დადიანი ამ მოღვაწეთა რიგს ეკუთვნის. მისი მოღვაწეობის გზა მოფენილი იყო მთელი იმ უკუღმართობით და დიდი დაბრკოლებებით, რომელიც საერთოდ წინ ელობებოდა ქართულ კულტურას გასულ საუკუნეში და კერძოდ ქართულ თეატრს.

ცხადია, არა თუ მე-19 საუკუნის გასწვრივ, როდესაც ჩრდილოეთიდან მონარქიული გრიგალი სუსხს აჩენდა ერო-

# წერილი მოსკოვიდან

## რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების პირველი ყრილობა

(საკუთარ კორესპოდენტისაგან *)

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ ამხ. სტალინმა გამოაქვეყნა შემდეგი ხელშეკრულება:

**ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შესახებ.**

რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა (რ. ს. ფ. რ.). უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (უ. ს. ს. რ.), ბელორუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (ბ. ს. ს. რ.) და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია (საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი) კრავენ ამ საკავშირო ხელშეკრულებას ერთი საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანე^ის შესახებ— „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს“ შემდეგს საფუძვლებზე:

1. ს. ს. რ. კავშირის უმაღლესი ორგანოების განკარგულებაში შედის:

ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში.

ბ) კავშირის გარეშე საზღვრების შეცვლა.

გ) ხელშეკრულებების დადება კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ.

დ) ომის გამოცხადება და ზავის შეკვრა.

ე) საგარეო სახელმწიფო სესხის აღება.

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ზ) საგარეო და შინაური ვაჭრობის სისტემების დაწესება.

თ) კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლებისა და საერთო გეგმის დაწესება, აგრეთვე დადება საკონცესიო ხელშეკრულებებისა.

ი) ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმეების მოწესრიგება.

კ) ს. ს. რ. კავშირის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის საფუძვლების დაწესება.

ლ) ს. ს. რ. კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, **მანეთის**, ფულისა და საკრედიტო სისტემების, აგრეთვე საერთო კავშირის, რესპუბლიკებისა და ადგილობრივი გადასახადების სისტემის დაწესება.

მ) მიწის მოწყობისა და მიწის მოხმარის საერთო საფუძვლებისა, კავშირის მთელს ტერიტორიაზე მიწის მულის, ტყისა და წყლის თანაბარი მოხმარის დაწესება.

ნ) საერთო საკავშირო კანონმდებლობა გადასახდების შესახებ.

ო) სასამართლოს მოწყობისა და სასამართლოს წარმოების საფუძვლების დაწესება; აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკავშირო კანონმდებლობისა.

პ) შრომის შესახებ ძირითადი კანონების დაწესება.

რ) სახალხო განათლების საერთო საფუძვლების დაწესება.

ს) დაწესება საერთო ზომებისა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

ტ) ზომისა და წონის სისტემის დეწესება.

უ) საერთო საკავშირო სტატისტიკის მოწესრიგება.

ფ) ძირითადი კანონმდებლობა კავშირის მოქალაქეობის სფეროში უცხოელთა უფლებების მიმართ.

ქ) საერთო ამნისტიის უფლება.

ღ) მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობების, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოების იმ დადგენილებების გაუქმება, რამდენიც არღვევენ საკავშირო ხელშეკრულებას.

2. ს. ს. რ. კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენენ ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობა, ყრილობებს შორის პერიოდებში—ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი.

3. ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობა შესდგება ქალაქების საბჭოების წარმომადგენლებისაგან ანგარიშით ერთი დეპუტატი 25.000 ამომრჩეველზე და საგუბერნიო საბჭოების წარმომადგენლებისაგან ერთი დეპუტატი 125.000 მცხოვრებზე.

4. ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობის დელეგატებს ირჩევენ საგუბერნიო საბჭოთა ყრილობაზე.

5. ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მორიგ ყრილობებს იწვევს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ერთ ჯერ წელიწადში; საგანგებო ყრილობებს იწვევს ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი საკუთარი გადაწყვეტილების, ან არა ნაკლებ ორი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნის მიხედვით.

6. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობა ირჩევს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან მცხოვრებთა პროპორციის მიხედვით, სულ 371 წევრისაგან.

7. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მორიგ სესიები იკრიბება სამჯერ წელიწადში. საგანგებო სესიები უნდა მოწვეულ იქმნას კავშირის ც. ა. კ. პრეზიდიუმის დადგენილებასთან ს. ს. რ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მოთხოვნით, აგრეთვე ერთი რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის ც. ა. კ. მოთხოვნით.

8. ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობები და ც. ა. კ. სესიები უნდა მოწვეულ იქმნას მოკავშირე რესპუბლიკების სატახტო ქალაქებში. რიგ-რიგობით, რომელსაც აწესებს ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. პრეზიდიუმი.

9. ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც წარმოადგენს კავშირის ხელისუფლების უმაღლესს ორგანოს კავშირის ც. ა. კ. სესიების პერიოდებში.

10. ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. პრეზიდუმი ირჩევა 19 წევრის შემადგენლობით, რომელთაგანაც კავშირის ც. ა. კ. ირჩევს კავშირის ც. ა. კ. ოთხს თავმჯდომარეს მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით.

11. კავშირის ც. ა. კ. აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (კავშირის სახკომსაბჭო), რომელსაც ირჩევს კავშირის ც. ა. კ. განსაზღვრული რწმუნებულობით შემდეგი შემადგენლობით:

კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარის მოადგილეები.

**საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.**

სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარი.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი.

გზათა სახალხო კომისარი.

ფოსტა და ტელეგრაფის სახალხო კომისარი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე.

შრომის სახალხო კომისარი.

სურსათ-სანოვაგის სახალხო კომისარი.

ფინანსთა სახალხო კომისარი.

12. ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ ძალების გაერთიანების მიზნით ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კომიტეტთან არსდება უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სასამართლოს კონტროლის ფუნქციებით, კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან კი—სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის გაერთიანებული ორგანო, რომლის თავმჯდომარე შედის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით.

13. ს. ს. რ. კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტები და დადგენილებანი სავალდებულოა ყველა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის და მოყავთ სისრულეში უშუალოდ კავშირის მთელს ტერიტორიაზე.

14. ც. ა. კ. და კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები და დადგენილებანი იბეჭდება მოკავშირე რესპუბლიკებში საერთო ხმარებაში მიღებულს (რუსულს, უკრაინულს, ბელორუსულს, ქართულს, სომხურს, თურქულს) ენებზე.

15. მოკავშირე რესპუბლიკების ც. ა. კომიტეტები კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დეკრეტებსა და დადგენილებების პროტესტს აგზავნიან ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. პრეზიდიუმში, ისე რომ მათი (დეკრეტებსა და დადგენილებების) სისრულეში მოყვანა არ შეჩერდება.

16. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. და მისი პრეზიდიუმისაგან, ს. ს. რ. კავშირის ცალკე სახალხო კომისრების განკარგულებანი კი შეიძლება გაუქმებული იქმნეს ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ., მისი პრეზიდიუმისა და კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან.

17. ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისრების განკარგულებანი შეიძლება შეჩერებულ იქმნეს მოკავშირე რესპუბლიკების ც. ა. კომიტ. ან ც. ა. კ. პრეზიდიუმისაგან მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევებში, როდესაც აშკარად არ ეთანაბრება გაცემული განკარგულება ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა თუ ც. ა. კ. დადგენილებებს. მოკავშირე რესპუბლიკის ც. ა. კ. ან მისი პრეზიდიუმი დაუყონებლივ აუწყებს განკარგულების შეჩერების შესახებ ს. ს. რ. კავშირის სახ. კომისართა საბჭოსა და ს. ს. რ. კავშირის სათანადო სახალხო კომისარს.

18. მოკავშირე რესპუბლიკების სახა-

*) იხ. „ტრიბუნა“ № 408

რუსთაველის თეატრი
შაბათს, თებერვლის 3-ს
გაიმართება

# შალვა დადიანის იუბილე

მისი სამწერლო, სა'ცენო და საზოგადო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

ა. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესები:

ბეგიჯ ორი — პირველი მოქმედება — დადგმა კ. მარჯანიშვილისა

ჯუშინდილნი — პირველი და მეორე მოქმედ. — დადგმა შ. ჯორჯელისა — რეჟ. თან. დ ანთაძე

ბ. საზეიმო სხდომა და მილოცვები

საიუბილეო კომისია.

ეროვნული შემოქმედებისათვის, არამედ დღესაც კი არ შეიძლება ქართველ მოღვაწეთა უღლის ტარება, თუ არ გასულდგმულებს ქართველი ხალხის უღრესი სიყვარული და თავგანწირვა მის სამსახურისათვის.

შალვა დადიანის მოღვაწეობას სწორედ ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული ასულდგმულებდა. ეს უნათებდა გზას წყვდიადით მოცულ ჰარამობას რომელიც ფეხს იკიდებდა ქართველი ხალხის კულტურულ შემოქმედების ირგვლივ.

საჭირო იყო დიდი თავდადება, დიდი შეგნება, დიდი ენერგიის დახარჯვა და უანგარო მოღვაწეობა, რომ ოდნავად მბჟუტავი ცეცხლი ეროვნული თეატრისა გაღვივებულიყო. ეს დიდი ისტორიული მისია ჩვენს ცხოვრებაში შეასრულა ჩვენი თეატრის მამათმთავრებმა, პირველმა პლეადამ ქართული სასცენო მუშაკებისა. შალვა დადიანი არ ეკუთნის ამ პლეადას, მაგრამ იგი მათი უახლოესი მოწაფეა და ამავე დროს განსახიერებაა მათი მოღვაწეობის უმთავრესი თვისებებისა.

ჩვენს სათეატრო მუშაობაში ჩაბმულს, შალვა დადიანს გადაუტანია ჩვენი თეატრის ჭირი და ვარამი. ქართული თეატრის ტკივილი და წუხილი—შალვას ტკივილი და წუხილია, ქართული თეატრის სიხარული—შალვას სიხარულია.

დღეს, როდესაც მადლიერი საზოგადოება შალვა დადიანს იუბილეს უმართავს ბევრს ვერაფერს მიუძღვნის მას ეს საზოგადოება.

წარსულში შალვა დადიანს ჩვენი თეატრის იარებით დაუსერეთ გული, ხოლო აწმყოში კიდევ არა გვაქვს ნორმალური პირობები, რომ მას მიუძღვნათ სათანადო პატივი.

მაგრამ შალვა დადიანი მიიღებს ისეთ ჯილდოს, რომელსაც ვერ მიიღებდა იგი, რომ ყოფილიყო რომელიმე დიდი, ბატონი ერის ხელოვანი. ეს ჯილდო იქნება უკვე თავისი ღირსების შეგნებით ერის ულრმესი მადლობა იმ მოღვაწისადმი, რომელიც მონობის განსაცდელშიაც კი ხალხის მესაიდუმლე—ქართული თეატრის უერთგულესი მსახური და გუშაგი იყო.

და მართლაც, თუ ხელოვნება სილამაზეს უნდა ემსახურებოდეს—შალვა დადიანის მოღვაწეობა მთლად ხელოვნებაა.

შალვა ჯერ კიდევ ჯანსაღი მოღვაწეა. 30 წლის მოღვაწეობაში არ გატეხილა მისი ენერგია, არ შესუსტებულა მისი ძალა. იგი დღესაც განაგრძობს თავის მუშაობას და ჩვენ მას უსურვებთ არა კეთილ და უდარდელ მომავალს, არამედ კვლავ თავდადებულ მუშაობას ჩვენი ეროვნული თეატრის ასპარეზზე.

დღეს ბრძოლების უდიდესი პროცესის მოწამენი ვართ. ამ ბრძოლებში გაიმარჯვებს ის, ვინც აღიჭურვება სათანადო მომზადებით, ვინც შემოქმედების მაქსიმალურ მიღწევებს უზრუნველყოფს.

ქართულ თეატრი ერთ საუკეთესო მებრძოლს შალვა დადიანი წარმოადგენს.

გულწრფელი სალამი და დამსახურებული მადლობა დიდ მუშაკს ეროვნული კულტურისა.

ხ. ა.



შალვა დადიანი

(მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო)

## შალვა დადიანს

(ექსპრომტად)

აპოლონისებრ გაბრწყინვებული,
სახე ულრუბლო, მარად მზიანი,
საქართველოსთვის ამტკივნებული,
ნაზი, სათუთი, გრძნობა ფრთიანი...

ო, ვინ არ იცნობს დიდებით მავალს,
სულით თავადს და სიტყვა მადიანს,
ცეცხლის სალამი ოლიმპზე მაღალს,
საქართველოს დენდს—შალვა დადიანს.

ლ. ძიძიგური.

## იშვიათი მოღვაწე

ვინც იცნობს ქართულ თეატრს და ქართულ წერა-კითხვის მცოდნეა, მას ამ სახელის გაგონება ფრიად ასიამოვნებს.

შალვას მოგონება, ოდნავ ქართულ კულტურის მოყვარულს თავის ბავშობის სასიამოვნო თავგადასავალს მოაგონებს. ჩემი აზრით შალვას ორი დიდებულება ახასიათებს: ეს არის მისი ხასიათით და მოღვაწეობა. მე არ ვიცი არის ასეთი დიდი კაცი და თავდაბალი, თუ არა. ის დიდი გვარისშვილი, დიდი კაცისშვილი, არის თავმდაბალზე დავმდაბალი, დემოკრატზე-დემოკრატი. ჩემი ღარიბი სიტყვათა ლექსიკონი ვერ ამოსწურავს შალვას ბუნებას. ის მართლა ხასიათ უფრო თავადია, ვიდრე მემკვიდრეობით. მთელ თავის სიცოცხლეს მის წარმომშობელ წრის მოწინააღმდეგე კლასში, მდაბიო მშრომელ მასაში ატარებს და უფრო სად იცით? ყველასგან ათვალისწინებულ და მივიწყებულ პროვინციაში. ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, სენაკი, ქიზიყი, თელავი და სად გინდა რომ ეს ცენტრისათვისაც საამაყო ნიჭი მსახიობის ტანისამოსით ზურგზედ აკიდებული, არ დადიოდეს და არ შექონდეს ცოდნისა და კულტურის ბრწყინვალე სხივები ჩვენი უკუნი ბნელით მოცულ პროვინციელთა ცხოვრებაში. აი თუ გნებავთ ნამდვილი პროლეტარული მოღვაწე, რომელ ეპიტეტსაც ეხლა დაუმსახურებლად ატარებს ზოგიერთი ულირსი ამ სახელისა.

მრავალთა შორის მაგონდება 1911 წელი სოხუმში. ეს ის დრო იყო, რომ ქართულად აფიშის გაკვრის უფლებაც არ გვქონდა. ქართველ მოღვაწეს იქ გამეფებულ რუსიფიკატორულ და რეაქციონურ ვაკხანალიის გამო ოქროს საკენკით ვერ შეიტყუებდით. შალვას მაინც ვერასფერი დაბრკოლება ვერ აკავებს, ჩამოდის, ადგენს დასს, ახდენს არალეგალურ კრებებს, ქართველ მეგრელ და მოქართველე აფხაზებისას. მას აქვს კეთილი განზრახვა ქართულ დრამატიული საზოგადოების დაარსება, მაგრამ როგორ ჩაუთვლიდენ არ მოელოდა რომ, ის მაშინ შეეპყრათ მისი აუდიტორიანათ, ისიც სოხუმში იმ დროს, მაგრამ იცით ამ დიდ განზრახვას ვინ უფრო უშლის ხელს თვისი უხამსი გაეოსვლებით? ისევ გადაგვარებული ქართველი ახალგაზრდობა, კოსმოპოლიტური აბსურდზედ აღზრდილი ჯგუფი ვალიკო ჯუღელის მეთაურობით. ხან აემხედრებოდენ ისტორიულ შინაარსის პიესების წინააღმდეგ, ხან რეპერტუარს გვიწუნებდენ და ვინ იცის რა. ერთხელ დავდგით სოც.-დემ. ახოსპირელის მიერ დაწერილი პიესა „გეურქალა" და შანტაჟისტები". მასში ვაჭარი სოც.-დემ. უსაყვედურებს შე ზემოხსენებულ ჯგუფისთვის ეს საკმაო იყო რომ, სეზონის დადგმის პირველ დღესვე ობსტრუქცია გაემართათ და თეატრის დარბაზიდან თვით მოქმედების დროს ყვირილ-ყიჟინით მოეხსნათ ახალგაზრდობა.

აი რა პირობებში მოღვაწეობდა შალვა, ებრძოდა მარჯვნით რეაქციონურ რუსიფიკატორებს და მარცხნით კი უმეცრებას სიბნელეს და ეროვნულ ნიჰილიზმს.

აღსანიშნავია მისი მოღვაწეობის მეთოდიც; შალვა დრამატურგი, იგივე რეჟისორი, მსახიობი, გრიმის მკეთებელი, დეკორატორი, იგივე ლექტორი (პიესას წინ წაუძღოლებდა შინაარსის განსამარტებლად ლექციას). ის მეგრულ ენაზე თარგმნით აგებიებდა სოხუმ-სენაკის ახალგაზრდობას როლის შინაარს. ზრდიდა მსახიობთა ახალ კადრს და ვინ მოსთვლის მის ტანჯვას, მის ძალღვების ნამდვილ წვას დასახულ მიზნისათვის.

ხანში შესული შალვა მე წლეულსაც ვნახე კახეთში ზურგზე სასცენო ტანისამოსით მოკიდებული; კარდანახი, ბაკურციხე, ვეჯინი, ველისციხე,—მიდიოდა ფეხით თავის სულიერ თანამგზავრ ელოსთან ერთად.

უსურვოთ შალვას სიცოცხლე მრავალ ჟამიერ.

კაპიტონ.

## შალვა დადიანი

ვინ არის, რომ არ შენატრის შალვა დადიანის ზრდილობას, თავდეჭერილობას, სიკეთით აღსავსე გულს! რომელი მსახიობია, რომ აღტაცებით, სიამით არ იგონებს ბათომის სეზონს 1913—1914 როდესაც შალვა დადიანი სათავეში უდგა დასს და რეჟისორობდა! რამდენი მოთმინება იყო საჭირო, რომ ისეთი ოჯახური ხასიათი მიეცა დასისათვის, როგორიც მისცა შალვა დადიანმა! მსახიობნი დიდიდგან პატარამდინ გარს ეხვევოდნენ შალვას, როგორც მამას. სცენის გარეშე მისი სახლიც ცენტრი იყო, სადაც შალვასაგან ყოველთვის ერთგვარ აღფრთოვანებას და განვითარების დახმარებას გამოელოდდა ახალგაზრდობა. ყველა ვისაც კი იმ სეზონში უმსახურია. შეხვედრის დროს, როგორც ზღაპარს ისე ვიგონებთ ბათომის სეზონებს და პირადათ მე კი, ძვირფასო შალვა, განსაკუთრებული მადლობით გამსჭვალული ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს შენს ხანგრძლივ სიცოცხლეს და მომავალს თაობას კი, ბევრი მოეცეს შენისთანები.

ოლღა ლეჟავა.

ლხო კომისართა საბჭოების შემადგენლობაში შედიან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

თავმჯდომარის მოადგილეები.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი.

სურსათ-სანოვაგის სახალხო კომისარი.

ფინანსთა სახალხო კომისარი.

შრომის სახალხო კომისარი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

იუსტიციის სახალხო კომისარი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი.

განათლების სახალხო კომისარი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი.

ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, აგრეთვე სათათბირო ხმით კავშირის შემდეგი სახალხო კომისარიატების რწმუნებულები: საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა და ფოსტისა და ტელეგრაფების.

19. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სახალხო კომისარიატები: სურსათ-სანოვაგის, ფინანსების, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკების ც. ა. კ. და სახალხო კომისართა საბჭოებს, თავიანთი მოქმედების დროს ხელმძღვანელობენ ს. ს. რ კავშირის სათანადო სახალხო კომისრების განკარგულებებით.

20. კავშირის შემადგენლობაში შესულ რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი ბიუჯეტები, რომელნიც წარმოადგენ საერთო საკავშირო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს, რომელსაც ამტკიცებს კავშირის ც. ა. კ.. რესპუბლიკების ბიუჯეტებს თავიანთი შემოსავლისა და გასავლის ნაწილებში აწესებს კავშირის ც. ა. კომიტეტი. ანუსხვა შემოსავლისა და რაოდენობა შემოსავლის აღრიცხვებისა, რომელნიც შეადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტს, განისაზღვრება კავშირის ც. ა. კომიტეტისაგან.

21. მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთათვის წესდება ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა.

22. ს. ს. რ. კავშირს აქვს თავისი დროშა, ღერბი და სახელმწიფო ბეჭედი.

23 ს. ს. რ. კავშირის სატახტო ქალაქია ქალ. მოსკოვი.

24. მოკავშირე რესპუბლიკებს შეაქვთ ამ ხელშეკრულების შევარდებით შესწორებანი თავიანთ კონსტიტუციებში.

25. დამტკიცება, შეცვლა და დამატება საკავშირო ხელშეკრულებისა ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა ყრილობის განსაკუთრებულ უფლებას.

26. ყოველს მოკავშირე რესპუბლიკას რჩება უფლება კავშირიდან თავისუფალი გამოსვლისა.

ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თვითეული რესპუბლიკის 23—23 სრულუფლებიან დელეგაციის წევრებმა.

ყრილობამ დეკლარაცია და ხელშეკრულება ძირითად საფუძვლებში დაამტკიცა და აგრეთვე დაადგინა, რომ ისინი გადასცემოდა დამატებით განსახილველად მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებს იმ დამატებათ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების შენიშვნები წარდგენილ ყოფილიყო საკავშირო ცენტრალური აღმასკომს უახლოეს მორიგ სესის დროს.

საკავშირო ცენტ. აღმასკომის მორიგ სესიას ენდობა განიხილოს მიღებული შენიშვნები, დაამტკიცოს ტექსტი დეკლარაციისა და საკავშირო ხელშეკრულების და დაუყოვნებლივ გაატაროს იგი ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ის მილოცვები, რომლითაც მიმართეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას ბუხარისა და ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა თავიანთ ენებზე ორივე სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ მათს რესპუბლიკებს არ შეუძლიათ ხანგრძლივი არსებობა პოლიტიკურად და ეკონომიურად გარეშე საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებისა. ისინი გამოსთქვამდნენ იმედს, რომ მათი რესპუბლიკები უახლოეს დროში გადაიქცევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებად და მათაც მიიღებს თავის წრეში სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი. ორატორები გამოსთქვამდნენ სურვილს, რომ აზიისა და ევროპის სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო გადაქცეულიყო მთელი მსოფლიოს სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირად.

ყრილობას მიულოცა აგრეთვე კომინტერნის წარმომადგენლებმა. ბოლგარეთის კომუნისტმა ამხ. კოლასოვმა, რომელმაც აღნიშნა სხვათა შორის, რომ კომინტერნი ხედავს ამ მუშაობაში და კავშირში პრაქტიკულს განხორციელებას მომავალი სახელმწიფოს ფორმის, რომელიც მთელი მსოფლიოს ერებს შემოიკრებს.

წითელი არმიის სახელით მიულოცა საბჭოთა რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდალმა ს. კამენევმა, რომელმაც წითელი არმიის სახელით აღუთქვა კავშირისს და საბჭოთა იდეების დაცვა.

ყრილობის დასასრულს არჩეული იქმნა საკავშირო ცენტრალური აღმასკომი, რომელიც შესდგება 371 წევრისა და 138 კანდიდატისაგან.

თანახმად პროპორციონალური პრინციპისა 371 წევრებიდან საკავშირო ცენტრალურ აღმასკომში რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკას ერგო 270 ადგილი, უკრაინისას—88, ამიერ-კავკასის ფედერაციას 26, ბელორუსეთის რესპუბლიკას—7. ამ პროპორციის მიხედვით შესდგა საკავშირო ცენტრალური აღმასკომი.

როგორც ამხ. კალინინმა აღნიშნა თავის უკანასკნელ სიტყვებში, 30 დეკემბერს საფუძვლები ჩაეყარა მეტად დიდსა და ისტორიულს საქმეს: ოთხმა რესპუბლიკამ ძირითადი საფუძვლები ჩაუდევს ანს, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მთელი კაცობრიობის ახალი ცხოვრება და ერთა ძმური ურთიერთობა.

უცხო.

## ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატებს მესამე საბჭო

იანვრის 30-ს საღამოს 7 საათზედ, სახელ. ოპერის თეატრში შესდგა, ქ. ტფილისის და მისი მაზრის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა ამხ. ივანოვ-კავკასკიმ საარჩევნო ცენტრალ კომისიის სახელით.

შემდეგ მოკლე სიტყვით მიესალმა პლენუმს საქართ. ც. ა. კ—ის თავმჯდო-

მარე ამხ. მიხა ცხაკაია, რომლის გამოსვლას კრება ოვაციებით შეხვდა.

კრებას მიესალმა აგრეთვე მოსკოვის საბჭოს წარმომადგენელი, მუსლიმან ქალთა წარმომადგენელი და სხვები. იყო წერილობითი მისალმებანიც: მელითონეთა კავშირიდან და ტრამვაელებისაგან.

შემდეგ ამხ. ივანოვ-კავკასსკის წინადადებით ტფილისის საბჭო ღებულობს საპროტესტო რეზოლიუციას რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ამხ. ივანოვ-კავკასსკის მოხსენებით არჩევნების შედეგი ასეთია:

1 რაიონში 10476 პირიდან 9,955 კაცი ე. ი. ამრჩევლების 95,5 პროც. გამოცხადდა, მე-2 რაიონში 7,300 კაციდან მონაწილეობდა 6,951 ე. ი. 95,2 პროცენტი, მე-3 რაიონში 14,000 კაციდან მონაწილეობდა 12,300 კაცი ე. ი. 87,9 პროც., მე-4 რაიონში 25,455 კაციდან მონაწილეობდა 20,306 კაცი, ე. ი. 79,8 პროც. მაზრაში 131,803 კაციდან მონაწილეობდა 92,173 კაცი, ე. ი. 65,0 პროც., მაზრაში, შედარებით მცირე პროცენტი აიხსნება მით, რომ სოფლები ერთი მეორისაგან დაშორებულნი არიან ათეულ ვერსის მანძილზე 1 რაიონში 89 კაციდან არჩეულია 64 კომ., 6 ახ. კავშ. და 19 უპარტიო. მე-2 რაიონში 73 კაც.—59 კომ., 5 ახკომ., 8 უპარტიო და 1 მემარც. ფედერალისტი, მე-4 რაიონში 152 კაცი.—120 კომ., 1 ახკომ. 16 უპარტიო, 14 მემარცხენე ფედერალისტი და 1 ჰინჩაკისტი. არმია 144 კაც. 82 კომ. და 62 უპარტიო. სულ საბჭოში 671 წევრიდან—501 კაცი ე. ი. 74,7 პროც. კომუნისტია, 14 კაცი ე. ი. 25 პროც. ახალგაზრდობის კომკავშირიდან, 18,6 კაცი, ე. ი. 20,3 პრ. უპარტიოა, 16 კაცი, ე. ი. 2,4 პროც. მემარცხ. ფედერალისტებია და 1 კაც. ჰინჩაკისტი.

საბჭოს შემადგენლობა სოციალურ მდგომარეობის მიხედვით შემდეგნაირია: მუშები—309 კაცი, ე. ი. 44,1 პროც., გლეხები 173 ე. ი. 13,2 პროც. რაც უკვე დიდს შილწევას ნიშნავს.

კომ. ფრაქციის წინადადებით საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ლადო სუხიშვილი.

შემდეგ მიიღეს კომ. ფრაქციის მიერ წამოყენებული აღმასკომის წევრთა და კანდიდატების შემდეგი სია:

ცხაკაია მ., ელიავა შ., ლომინაძე ბ., კახიანი მ., ლოლომბერიძე ლ., სუხიშვილი ლ., ყლენტი ს., თაქთაქიშვილი, რუხაძე, ჯაჯანაშვილი, ღლონტი თ., (მემარცხ.-ფედ.), ვარძელი, ჯულელი, მინასიანი, აფანასიევი, ყურულოვი, ივანოვ-კავკაზსკი, გოლდბაუმ, კოჩეტკოვი, მორჩილაძე, ფანცულაია, კორინაშვილი, იტრიევი, ბოჭორიშვილი, ვარტაპეტოვი, ალი-ტაგიზადე კონჩაკი, ეგიაზაროვი, რუბენ, ბურჯანაძე, გეიდენი, ავაკოვი, ადამიან (ახალგ. კომკავ.) ჯანელიძე, ჯაფარიძე, გურგენიძე, ადამიძე, მესხი, უშაკოვი, პუგაჩოვი, მილოვი, ღლენტი თ., ბერიოზინი, მარკაროვი, დავიდოვსკი, სარტანია (უპარტიო), ჭანტურია, დალნაია, ტოროტაძე (მემარცხენე-ფედ.)

# ამიერ-კავკასიის ფედერატიული სოც. საბჭოთა რესპუბლიკა და ჩეხო-სლოვაკია.

**ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს სახელზე.**

ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია და საელჩო ტფილისში დღემდე სარგებლობდნენ უფლებებით მხოლოდ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამ ჟამად ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სამინისტრომ, ამიერ-კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან უფრო დაახლოვებულ ურთიერთობის დამყარების მიზნით, განიზრახა გაავრცელოს ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციის და ტფილისში მყოფ საელჩოს უფლებები მთელ საბჭოთა ამიერ-კავკასიაზე, ესე იგი სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკებზედაც.

ამის გამო გარეშე საქმეთა სამინისტრო მიმართავს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს თხოვნით, რათა მან იცნოს ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაცია და საელჩო ტფილისში მთელ ამიერ-კავკასიის, ესე იგი სომხეთის და აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც, იმავე უფლებებით და უპირატესობებით, რომლითაც აღნიშნული დელეგაცია და საელჩო სარგებლობენ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში და რომელიც აღნიშნულია 1922 წ. 22 აგვისტოს № 7452 მოწმობაში, რომელიც მიეცა აღნიშნულ დელეგაციის თავმჯდომარეს იაროსლავ იოსების ძე სვატოშს, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხის გადასაჭრელად საჭირო იქნება სომხეთის და აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისადმი მიმართვა, ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტრო სთხოვს საკავშირო საბჭოს გაუწიოს ამ საქმეში თავისი მეგობრული დახმარება ამ რესპუბლიკების ხელისუფლებისადმი უშუალო მიმართვის გზით.

გარეშე საქმეთა სამინისტრო დარწმუნებულია, რომ აღძრულ საკითხის სასურველად გადაჭრა იქნება ერთ-ერთი ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის დაახლოვებას.

პრაგა, 1922 წელი, 2 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი: **ბენეში.**

**ამიერ-კავკასიის ფედერატიულ სოც. საბჭოთა რესპუბლიკის პასუხი**

**პრაგა.** გარეშე საქმეთა მინისტრს, დეპეშა:

„პასუხად თქვენი ნოტისა 1922 წლის 2 დეკემბრის თარიღით, რომ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭო შეუძლებლად სცნობს ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო სამრეწველო დელეგაციის და საელჩოს არსებობას მთელს ფედერაციაში, სანამ თქვენი მთავრობა არ იცნობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს იურიდიულად ამიტომ, თუ ახლო მომავალში თქვენ მიერ არ იქნება მიღებული სათანადო ზომები, სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იქნება წინადადება მისცეს ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის თავმჯდომარეს და ელჩს დასტოვონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საზღვრები“.

27 იანვარი 19823 წ. № 57.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ორახელაშვილი.**

# მოწერილი ამბები

**ჩოხატაური.**

ეს დაბა გურიის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფება. უნდა ვსთქვათ, რომ გურია მთელ საქართველოში რევოლიუციონურ, განათლებულ და საყვარელ მხარეს წარმოადგენდა და წარმოადგენს. გურულები მუდამ შეუდრეკლად იდგნენ თავის წმინდა სადარაჯოზე. გურულები მუდამ შეუდრეკლად ებრძოდნენ ყოველგვარ გაჭირვებას. გურიამ საყვარელი შვილები გასწირა რევოლიუციის საკეთილდღეოდ.

გურია დღესაც ებრძვის დაბრკოლებებს და მიექანება წინ, აღთქმის ქვეყნისაკენ!

გულახდილად უნდა ვსთქვა, რომ დღეს გურიის საერთო სურათი ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

ავადმყოფობა, ზღაპრული სიძვირე და ეკონომიური დაქვეითება, ხელს უშლის გურიის კულტურულად აღორძინებას!..

დაბა ჩოხატაური გურიაში ერთი შესანიშნავი დაბაა, სადაც მუდამ ყვავის წინსვლის ხალისი.

შესანიშნავია აქაური თეატრი და მისი თანამშრომელნი, რომლებიც მარად და მარად ენერგიულად მუშაობენ ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენ უნდა მოვიხსენიოთ ერთი სამწუხარო მოვლენა და საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ დაბაში, რომელსაც ჩვენ მნიშვნელოვან დაბას ვეძახით, სამკითხველო არ არსებობს. და ეს აუცილებლად დიდი დანაკლისია და სიზარმაცე. ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ გურიის ყველა სოფლებში არსებობდეს სამკითხველოები, გლეხი ყოველთვის დაინტერესებულია ახალი ამბებით, რევოლიუციის ბედით.

ჩვენ თუ გვინდა გურიის კულტურული აღორძინება, ხელი უნდა შეუწყოთ მის სოფლებში თეატრისა და სამკითხველოების არსებობას.

დაბა ჩოხატაური, რა თქმა უნდა, მნახველს ვერ მოხიბლავს მისი უშნო დუქნებით და მახინჯ ქუჩებში გამეფებულ სიბინძურით.

აქ იმართება პარასკეობა, თეატრის მუშაობა გვიორკეცებს წინსვლის იმედებს!

წინ ძვირფასო ადამიანებო! ჩვენ ვიცით, რომ ძნელია ასეთ ხანაში პროვინციებში კულტურული მუშაობა, მაგრამ დარწმუნებული ვართ თქვენს ძლიერ სულში და სიმტკიცეში.

თქვენ ხართ ღამის წყვდიადში სოფლის ფერმკრთალ ცაზე გაღიმებული ვარსკვლავები. თქვენი შრომა განახლების ცელქი ნიავია, რომელიც ტკბილი ალერსით ევლება ყოველი კაცის გულს და მიაქანებს აღთქმის ქვეყნისაკენ! შეიძლება ბევრს არ მოსწონს სცენაზე თქვენი წვა, მაგრამ თქვენს დიდებულ შრომას დააფასებს მომავალი.

ჩოხატაურში არსებობს ტეხნიკუმი, რომელშიაც კარგა ხანია გაჩაღებულია კულტურული მუშაობა.

არსებობს სხვა და სხვა წრეები, სადაც მოწაფეები ეწაფებიან ხელოვნების შესწავლას.

კულტურული მუშაობის დაარსებაში დასაფასებელი ღვაწლი მიუძღვის ტეხნიკუმის მოწაფეებს: ჟორა ხუნდაძეს და ჟორა გურგენიძეს! რომლებიც ამ ტეხნიკუმისათვის დიდ რამეს წარმოადგენენ.

წინ ძვირფასო მეგობრებო!

გრწამდეთ, რომ მომავალი ჩვენია, ქართველი ახალგაზრდების.

**დ. კოხიძე.**

# კმარა მსხვერპლი!

მიუხედავად გაზეთებში მრავალჯერ გამოცხადებისა, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ „შოფერები“ თავიანთ უპასუხისმგებლო მოქმედებაში არავის ანგარიშს არ აძლევენ; ერთხელ კიდევ გამოირკვა, რომ მათ ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად! დამტკიცდა, რომ ადამიანი მათთვის ჭიანჭველა ყოფილა და მათი გასრესა ყოველ ნაბიჯზე შეიძლება!

გამოირკვა ისიც, რომ თავიანთ მოქმედებაში მარტო ეს „შოფერები“ არა ყოფილან „პასუხისმგებლები“. ქუჩაში მიმავალი შეშინებული მოქალაქე ძალიან კარგადა ხედავს, რომ ხშირად ავტომობილში სხედან კარგად ნაცნობი და პასუხისმგებელი პირები და ავტომობილი კი მიჰქრის პირდაპირ ელვის სისწრაფით და შიგ მჯდომარეს თავისი თავი მინდორში ჰგონია.

ვფიქრობთ ამ თავდავიწყებაზე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ —ალბად ასეთი ყოფილა ადამიანის „ბუნება“, რომელიც მზად არის თავისი სიამოვნებისთვის ქუჩაში მიმავალი თვით ჩვილი ბავშვიც კი არ დაინდოს.

„კატაობა“ და „ქროლვა“ როგორცა სჩანს ბევრი მოქალაქესთვის კარგი რამ ყოფილა, მაგრამ რა უფლება გვაქვს უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ავაგოთ და ადამიანს წავართვათ ის, რაც ჩვენ არ მიგვიცია?!.

რამდენად დიდია და უსაზღვრო საზოგადოების აღშფოთება ამ „შოფერებზე“? და მიუხედავად ამისა, საწინააღმდეგო ზომები, ვისგანაც ჯერ არს სამწუხაროდ ვერა ვხედავთ ჯერ-ჯერობით და ისე გამოდის, თითქოს პატარა მსხვერპლებით ვერა ვკმაყოფილდებით და ველით დიდ მსხვერპლს.

ცნობის მოყვარეობა ნებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ჯერ ტფილისის ცხოვრების ისტორიას არ ახსოვს ასეთი ფართო და დიდი მოძრაობა ავტომობილებისა; ვინ გინდათ, რომ შიგ მჯდომი არ დაინახოთ და ამას ისიც ზედ ერთვის, რომ უპასუხისმგებლო შოფერები თავდავიწყებით, სრულიად თავისუფლად ნავარდობენ ისე, როგორც ეს „მათ ესმით და სურთ“.

მე პირადად ვნახე გერმანია-ავსტრიის ფრონტის ზურგში, თუ როგორი ელვის სისწრაფით დაჰქროლავდნენ უთვალავი ავტომობილები სამხედრო საჭიროებისათვის, მაგრამ ეს იყო ბრძოლის ველზე, თვალ უწვდენელ მინდვრებზე, მაგრამ წარმოუდგენელია იგივეობა ტფილისის იმ ვიწრო ქუჩებში, სადაც ხალხის მასიური მოძრაობაა განუწყვეტლივ.

ხშირი მნახველი ხართ იმისა, როდესაც რომელიმე ქუჩის შესახვევში ზედ წამოადგება ან მოხუცებულს ან ბავშს და სიკვდილს გადარჩენილ გულ წასულ ადამიანს ეს „მოქალაქე“ შოფერები პირიქით დასცინიან კიდეც და ყველაფერი ყოველ დღე ეს ისე ხდება, თითქოს მას (შოფერს) თავის მოქმედების მანდატი ჯიბეში ედოს.

თქვენ ნახავთ იმასაც, რომ მილიციონერი აძლევს ნიშანს—გააჩეროს ან შეანელოს მსვლელობა, მაგრამ ეს „მოქალაქე“ შოფერს არ ესმის და მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავის მოქმედებაში უპასუხისმგებლოა.

მაგრამ განა კიდევ ღირს ამ საგანზე ლაპარაკი? განა ღირს კიდევ ამ თემაზე წერა? და თუ წერით რამე კეთდება,—განა ცოტა დაიწერა ამ თავაშვებულობაზე? მაგრამ სჩანს „ყვილაცებისთვის“ არ არის [illegible] მოსმენა!

31 იანვარს, [illegible] ქუჩაზე აფთარმა ავტომობილმა იმსხვერპლა აღმასკომის საბინაო განყოფილების ერთი საუკეთესო თანამშრომელი და პროფკავშირის წევრი ამხ. ბალიაშვილი და აი ჩვენც ვწერთ ამ შემთხვევაზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი თქმა და წერა ისე, როგორც ყოველთვის, ამაოდ ჩაივლის, ვინაიდან შოფერს არა სურს ეს გაიგოს.

ამიტომ ვამბობთ:—საჭიროა აღმასკომმა ერთხელ კიდევ განიმეოროს სავალდებულო დადგენილება მოძრაობისათვის შოფერების საყურადღებოდ.

წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა მაგარი ლაგამი, ვინაიდან ამას მოითხოვს ტფილისის ქუჩებში მოსიარულე მოქალაქეთა სასიცოცხლო ინტერესი.

**კმარა მსხვერპლები!**

**მუშა ისკანდერი**

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ახალი აღმოჩენა გეოლოგიაში.**

გეოლოგიის სახელმძღვანელოებსა და ატლასებში დღემდე განაგრძობენ დედამიწის ბურთის შინაგანი ნაწილის წარმოდგენას, როგორც „სითხისებურ გამდნარ მასსას“. თუ კი დედამიწის შინაგანი ნაწილი სითხეს წარმოადგენს, მაშინ მთვარისა და მზის მიზიდვა ამ სითხეში ისე სავე მატება-დაკლებას უნდა იწვევდეს, როგორც მიწის ზედა ფენებში. ჩვენ ამას ვერ გამჩნევთ, მაგრამ ასევე ვერ ამჩნევს გემზე მყოფი ზღვის მოქცევას და მიქცევას.

თანამედროვე მეცნიერება ამ საკითხს სწავლობს ქანქარას (Маятник) შემწეობით. სითხის ზედა პირი ყოველთვის რჩება პერპენდიკულიარული სიმძიმისადმი; თუ კი დედა-მიწის შინაგანი ნაწილი მაგარია, მაშინ მთვარისა და მზის მიმზიდველობამ აქ გადახრა უნდა გამოიწვიოს. ეს უკანასკნელი გამოანგარიშებულია ერთ მეასედ წუთში; ეს იმას ნიშნავს, რომ ეიფელის კოშკის სიმაღლის ქანქარამ სულ ერთ მეასედ მილიმეტრზე გადაიხაროს. ცდები ასეთ მინიმალურ ოდნობებით თითქმის შეუძლებელია; მაგრამ საბედნიეროთ გამოიგონეს მეტად მგრძნობიერი აპარატი, რომელშიაც ქანქარა ქანაობს თითქმის ჰორიზონტალურ სიბრტყეში და აქ ეს უხერხულებანი აღარ არსებობს.

დ-რ. ჰეკკერმა, პრუსიის გეოდეზიის ინსტიტუტის დირექტორმა, მოახდინა ცდები პოტსდამში 25 მეტრის სიღრმის ჭაში (რათა მინიმუმამდე დაეყვანა მზის სხივების ზედმოქმედება). მიწა რომ სავსებით მაგარი ყოფილიყო, ქანქარის მოძრაობას მთვარის მიმზიდველობის გავლენით უნდა მოეცა წესიერი ელიპსისი; ჰეკკერმა კი მიიღო უსწორო ელიპსისი. ეს იმას ნიშნავს, რომ დედა-მიწა ნაწილობრივ მაგარია, ნაწილობრივ სითხისებური.

კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი გენიოსი ლორდ კელვილი, თავის დროზე, სხვა ფენომენების საფუძველზე იმ დასკვნამდი მივიდა, რომ დედა-მიწის შინაგანი ნაწილი უფრო მაგარია, ვიდრე სითხისებურიო, ამ ჟამათ მეცნიერება ამ აზრისაკენ იხრება.

ჰეკკერის ცდები სწარმოებდა 1902—1907 წლ. ცნობილმა ფიზიკოსმა მაიკელსონმა ჩიკაგოში დაადასტურა ის სხვა გზებით 1916—1917 წლ. მან დააწყო მიწის ქვეშ 6 ფუტის სიღრმეზე ორი მილი 500 ფუტის სიგრძის, რომელნიც ავსილი იყო წყლით და მოწყობილი წყლის დონის ავტომატიური აღნუსხვისათვის. ეს დონე შეიძლება გაზომილი იქნეს მხოლოდ შედარებით გარსშემორტყმულ მიწასთან; სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს მის ცვალებადობას მთვარის მიმზიდველობის ზეგავლენით, თუ გარსშემორტყმული მინა მაგარია და არ ემორჩილება ამ მიმზიდველობას. ეს აღნუსხვა სწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში და სავსებით დაადასტურა ჰეკკერის აღმოჩენები.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 74.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტყეების ყოველგვარი სარგებლობა შეიძლება ბარათებით, რომელსაც გასცემს ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაცია.

2. ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ჩარეულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობა—საამისოდ განსაკუთრებული არჩეული პირების სახით.

3. ტყის უკანონოდ სარგებლობისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხ. მიხედვით.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩარევის წესის შესახებ (მუხ. 2).

5. მოეხსნათ ფულადი ან სხვა რამ გადასახადი, ადმინისტრატიულისა ან სასამართლოს წესით დადებული ტყის გაჩეხისათვის, უკეთუ ეს ჩადენილია ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე,—იმ პირთ, რომელთაც ეს გაჩეხა ჩაუდენიათ სათეს-სახნავის სივრცის გასადიდებლად ან თავისი პირადი ოჯახობრივი საჭიროებისათვის.

6. ყველა ამგვარი საქმე, რომლის წარმოებაც ჯერ დამთავრებული არ არის ადმინისტრატიულ ან სასამართლოს დაწესებულებაში.—მოსპობილ იქნეს.

**შენიშვნა:** ამა დადგენილების მე-5 დ მე-6 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც გაჩეხა ვაჭრობის მიზნით ჩაუდენიათ.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**მ. ორახელაშვილი**

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი **სტურუა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე**

1923 წ. იანვრის 31.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

კვირას, 4 თებერვალს, გადახდილი იქნება ორმოცი დღის
წირვა და პანაშვიდი
გედეონ ვლასის ძე
დარახველიძის
წირვა დაიწყება ათი საათიდან, პანაშვიდი 12 საათზე, ვერის წმ. ნიკ. სასაფლაოზე. 387 1—1

ტირაჟი 900 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ № 2